საქართ. მეშვარეთ. სოც.-დემ. სარეგ. პარტია

ბრძოლა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ბრძოლა“ ღირს
თვიურად 400,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. — ნახევარ
4 „ 100,000 „
საგანგებო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 465 ხუთშაბათი, მაისის 10 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

რეფორმიზმის გახრწნა.

ბურჟუაზია მსოფლიო მასშტაბით ემზადება გენერალურ შეტევაზე გადასასვლელად საერთაშორისო მშრომელთა კლასის, განსაკუთრებით—საბჭოთა ფედერაციის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. თითქმის ყოველ-დღე მოდის ევროპის კონტინენტიდან ცნობები ბურჟუაზიულ რეაქციის გაძლიერების შესახებ. კაპიტალის მაგნატები სცდილობენ საბედისწერო ლოდიკურ რკალიდან თავის დაღწევას და ამ მიზნით ახდენს საკუთარ „ძალების“ მობილიზაციას. მუსოლინიზმ-ფაშიზმის აღორძინება იტალიასა და აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში—ერთის მხრით, და მეორეს მხრით—საფრანგეთის იმპერიალიზმის ბრეყალებში რურის ოლქის მოქცევა—უსათუოდ ადასტურებს კაპიტალის საომარ განწყობილებაზე დადგომას.

კაპიტალისტების შავი ზრახვების გაძლიერებასთან ერთად აქვს დღეს ევროპაში მეორე გარემოება—„სოციალისტურ“ რეფორმისტულ პარტიების საერთო ენაზე ალაპარაკებას. ორი და ორნახევარი ინტერნაციონალი ფაქტიურად გაერთიანდა. საერთაშორისო მენშევიზმი თანდათან მთლიან სახეში ჩამოყალიბდა.

რა არის რეფორმისტულ მიმდინარეობათა გაერთიანების მიზანი? კაპიტალზე თავდასხმა? ცხადია, არა. ამას ამტკიცებს ის გზები და ტაქტიკა, რომლითაც მიემართება „გაერთიანებული“ ფრონტი ოფიციალურ სოც.-დემოკრატიის.

მდიდართა კლასის გამოლაშქრებას მუშათა კლასის გაერთიანებული ძალა უნდა დაუპირისპირდეს. მშრომელი მასსა მუდამ მზად უნდა იყოს და იდგეს კლასიურ ინტერესების სადარაჯოზე. პროლეტარიატის რიგების დაქსასვა ბურჟუაზიულ ბანაკის გაძლიერების მომასწავებელია. ამიტომ მეტად მიზანშეწონილი და ისტორიული ნაბიჯი გადასდგა კომინტერმა, როდესაც მოუწოდა მთვლი ქვეყნის მშრომელთა მასსებს და ჰეშმარიტ რევოლიუციონურ პარტიებს მთლიანი მუშათა ფრონტის შესაქმნელად.

კომინტერნის რევოლიუციონური თვალსაზრისი გაიზიარა ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ფენებმა. კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად განწყობილმა პროლეტარებმა უკვე შესძლეს ბრძოლის ერთ ხაზზე შედგომა, მთლიან მუშათა ფრონტზე გამგზავრება.

რას შვრება „გაერთიანებული“ რეფორმიზმი? იგი ისევ ძველ გზას ადგია და „პრინციპიალურად მომხრე“, პრაქტიკულად წინააღმდეგობას უწევს მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისა და გაძლიერება-გამტკიცების საქმეს. რატომ? „საიდუმლოებითაა“ მოცული ამის პასუხი. მაგრამ საერთაშორისო, და განსაკუთრებით—რუსეთის მშრომელთა კლასმა იცის რეფორმისტების სულისკვეთება. სოც. დემ. კარგათ აქვს გათვალისწინებული ის, რომ მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნით და კაპიტალზე გალაშქრებით, ერთი სიტყვით—საერთაშორისო რევოლიუციის გაჩაღებით—გაიზრდება ავტორიტეტი და გავლენა საბჭოთა სისტემის, ოქტომბრის რევოლიუციის იდეალების. ეს კი ბოლოს მოუღებს რეფორმისტების საარსებო პირობებს. მართლაც და, ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ სოც. დემოკრატიული პარტია არ უთანხმდება კომპარტიას ევროპაში მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის საკითხში. ასე მოიქცენ მაგ. საქსონიის სოციალ-დემოკრატები. რას ღალადებს ეს ფაქტი?—უსათუოდ ერთს: რეფორმიზმი უკვე საბოლოოდ გამოიჭიმა კაპიტალის მსახურის როლში და მასსა და მუშათა კლასის ინტერესებს შუა არ არის ინტნრესთა შეწყობა—შეთანხმება.

ამას კარგად ხედავს საერთაშორისო პროლეტარიატი მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. რეფორმიზმის საბოლოო გახრწნა უკვე ადგას პრაქტიკულ ნიადაგზე...

რუსეთ-ევროპა

რურის ოლქის ოკუპაცია

საფანგეთ ბელგიის საპასუხო ნოტა.

პარიზი. 8 მაისი. კვირა საღამოს საფრანგეთ-ბელგიის საპასუხო ნოტა გერმანიის წინადადებებზე გადაეცა გერმანიის წარმომადგენლებს პარიზში და ბრიუსელში. ნოტაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები სთვლიან გერმანიის წინადადებებს მიულებლათ მრავალ პუნქტებში.

პირველათ ყოვლისა გერმანიის მიერ წამოყენებული ჯამი საკონტრიბუციო გადასახადებისა უდრის იმ ჯამის ერთ მეოთხედს, რომელიც დაწესებულია საკონტრიბუციო კომისიის მიერ და მიღებულია გერმანიის მთავრობისაგან, როგორც საერთო ჯამი გერმანიის ვალებისა ანტატისადმი ამ ჯამის შესამცირებლათ ორივე მთავრობები ვერავითარ შემთხვევაში ვერ დათანხმდებიან, მოკავშირეთა შორის ვალების გაუბათილებლათ. ამიტომ გერმანიის ტერიტორიის ოკუპაცია გაგრძელდება მანამდე, სანამ გერმანიის მთავრობა არ შეასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს, ნოტა აღნიშნავს, რომ ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიის მთავრობამ იცნო საკონტრიბუციო კომისია იმ ორგანოთ, რომელიც სწყვეტს ყველა საკითხებს ვალების შესახებ. მეორე მხრივ გერმანიის წინადადებები მიღებულია, რადგანაც საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები ხელს ვერ აიღებენ იმ გარანტიებზე, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ საზავო ხელშეკრულებით. მესამე, გერმანიის წინადადებაში არ არის ნაჩვენები როგორი ნაბიჯების გადადგმა აქვს განზრახული გერმანიის მთავრობას თავის ვალების გადახდის, დანაწილების და უზრუნველყოფისათვის. აგრეთვე ნაჩვენები არ არის, როგორი საშუალებითაა უზრუნველყოფილი გერმანიის სესხის განაღდება. შემდეგ, სრულებით გაურკვეველია გერმანიის მითითება საფრანგეთის საფრთხისაგან გარანტიაზე. ასეთი მითითებას განსაკუთრებით გაკვირვებაში მოყავს ბელგიის მთავრობა, რადგანაც მას არ შეუძლია დაივიწყოს ბელგიის ნეიტრალიტეტის დირღვევა 1914 წ. იმ დროს. როდესაც ეს ნეიტრალიტეტი ცნობილი იყო გერმანიის მთავრობის მიერ.

ორივე მთავრობა მოითხოვენ კონკრეტიულ წინადადებებს, რომელიც არ იყო გერმანიის უკანასკნელ წინადადებაში. შემდეგ ნოტა მოაგონებს ორივე მთავრობის გადაწყვეტილებას დაკავებულ ტერიტორიის ევაკუაცია მოახდინონ გერმანიის მთავრობის მიერ თავის ვალების გადახდის მიხედვით და აღნიშნავს, რომ მუდმივი წინააღმდეგობა გერმანიის მთავრობისა ვერსალის ხელშეკრულებისადმი მიმართულია უკანასკნელის გასაბათილებლათ, რასაც ეს მთავრობები ვერ დაეთანხმებიან.

ნოტა თავდება განცხადებით, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები, ემყარებიან რა ელჩთა კონფერენციის დადგენილებებს, რომელმაც ერთხმად აღიარა, რომ გერმანიის მთავრობამ არ შეასრულა თავის ვალდებულებები, მიიღებენ მთელ რიგ ახალ „სანქციებს“, რომ აიძულონ გერმანიის მთავრობა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი.

ლოზანას კონფერენცია

ბურჟუაზიულ დიპლომატიის პოლიციური ოინები

ლოზანა. 3 მაისი. ლოზანის კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენელსა ამხ. ვოროვსკის და კონფერენციის გენერალურ სეკრეტარიატს შორის მოხდა ინცინდენტი რუსეთის დიპლომატიური კურიერის ვიზის საკითხის გამო. ამის შესახებ ვოროვსკიმ გაზეთების წარმომადგენლებს აცნობა შემდეგი: ლოზანას კონფერენციის სეკრეტარიატმა აცნობა რუსეთის მთავრობას, რომ რუსეთი დაშვებული იქნება ლოზანას მეორე კონფერენციაზე იმ შემთხვევაში, თუ ის ხელს მოაწერს მოკავშირეების ხელშეკრულების პროექტს სრუტეების შესახებ.

ამხ. ვოროვსკიმ იტალიის მთავრობისადმი გადაცემულ ნოტაში აღნიშნა, რომ რუსეთს არ შეუძლია მიიღოს მოკავშირეების ულტიმატუმი ამ საკითხის შესახებ. ლოზანაში მისვლის შემდეგ ამხ. ვოროვსკიმ გაიგო, რომ კონფერენციის სეკრეტარიატს არ მიუცია ვიზა დიპლომატიურ კურიერისათვის, მოკავშირეების ულტიმატუმის მიულებლობის გამო.

ამხ. ვოროვსკიმ განაცხადა პროტესტი, აღნიშნა რა რომ ტეხნიკურ საკითხს ვიზის შესახებ არაფერი საერთო არ აქვს პოლიტიკურ საკითხთან, რომელიც შეეხება სრუტეების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეების დელეგაციებმა შეკითხვა მისცეს ამის შესახებ თავიანთ მთავრობებს.

ამ რიგად მტკიცდება ცნობები იმის შესახებ, რომ ლოზანას კონფერენციის სეკრეტარიატმა მიიღო პოლიციური ზომები, რათა თავიდან აეცდინა რუსეთის მთავრობის მონაწილეობა კონფერენციაზე.

უკეთებს რა კომენტარიებს ამ ინციდენტს, „კელნიშე ცეიტუნგი“ სავსებით იცავს რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამხ. ვოროვსკის სრული უფლება ჰქონდა აღშფოთებულიყო მოკავშირეების მოქმედებით, რომელთაც სურთ პოლიციური ზომებით საშუალება მოუსპონ რუსეთს კონფერენციაზე მონაწილეობისათვის.

პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის, რომელიც მიაყენეს დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელს, უნდა იკისრონ ანტანტის წარმომადგენლებმა რომლებმაც შელახეს იდეა კონფერენციის შეუწყვეტლობის შესახებ.

თუ ეს კონფერენცია არის პირველის გაგრძელება, მაშინ რუსეთის დელეგაციამ არ უნდა დაუცადოს ახალ მოწვევას. ისტორია აღნიშნავს ასეთი მოუფერებელი მოქმედების შედეგს, რომელიც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი გადადგმული იყო მოკავშირეების საერთო თანხმობის გარეშე.

„ეურნალ დ' ინფორმაციონ“-ი აღნიშნავს, რომ ლოზანას კონფერენციას იმ ზომ აუარებელი დაბრკოლებები ელობება წინ, რომ საჭიროა ახალი გართულების თავიდან აცდენა. თუ სასურველია ხელის მოწერა საზავო ხელშეკრულებაზე. მაშინ ხელახლა უნდა აღიძრას საკითხი სრუტეების შესახებ.

ამხ. ვოროვსკიმ ახალ წერილში ლოზანას კონფერენციის სეკრეტარიატისადმი ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თუ ეს ინცინდენტი უახლოეს ვადაში არ იქნება სათანადოთ გადაჭრილი, აქედან გამოყვანილი იქნება ყველა აუცილებელი დასკვნები.

გერმანიის ჭუშეგი სიხარულით ეხვდენენ რუსეთის დახმარებას

მოსკოვი. 7 მაისი. რუსეთის პროფკავშირების დელეგაცია, რომელიც გერმანიაში იყო წასული რუსეთის პურის რურის მუშებთა შორის განაწილებაში მონაწილეობის მისაღებათ, მოსკოვში დაბრუნდა. დაბრუნებულები იტყობინებიან, რომ პური ნაწილდმბა მუშებს შორის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების საკონტროლო კომისიების მიერ რუსეთის დახმარებამ, რამოდენიმე კვირის განმავლობაში საშუალება მისცა გამოეკვებათ 2 მილიონამდე უმუშევარი. რუსეთის პურმა დიდი როლი ითამაშა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ავტორიტეტის გადიდებაში. გერმანელი ფაშისტები მოუწოდებდნენ არ მიეღოთ რუსეთის პური იმ მიზეზით, რომ რუსეთის მუშები თვით განიცდიან სიმშაილს. მაგრამ სწორეთ ამ გარემოებამ მოახდინა დიდი მთაბეჭდილება გერმანელ მუშებზე, რომელნიც უდიდეს სიხარულით ხვდებოდნენ რუსეთის დახმარებას.

გერმანია და ანტანტა

ერთად ერთი ხსნა—მუშური მთავრობაა

ბერლინი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კუნოს ახალი წინადადებების გამო გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული საჭიროება მუშებს მხრივ ყოველგვარი რეპარაციების და აგრეთვე რურის საერთაშორისო ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლისა. რეზოლიუცია მოითხოვს გერმანიაში მუშური მთავრობის შექმნას.

მიულწეველია

ბერლინი. 3 მაისი. სარეპარაციო ნოტის შესახებ ლაპარაკის დროს კანცლერმა კუნომ განაცხადა: „ჩვენ გვინდა ზავი, მაგრამ მისი შეძენა შეიძლება მხოლოთ ისეთის საფასურით, რომლის გადახდა ჩვენ არ შეგვიძლია“. შემდეგ კუნომ სთქვა: „გერმანიის ერს მტკიცედ უჭირავს ხელში პასიური წინააღმდეგობის იარაღი და მზად არის გაორკეცებულის ძალით წინააღუდგეს ახალ თავდასხმებს“,

საფრანგეთისათვის მიულებელია

პარიზი 4 მაისი. საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის ახალი წინადადებები მიულებელია საფრანგეთისათვის, რადგან ის არ შეიცავს გარანტიებს, მიულებელია აგრეთვე გერმანიის მიერ ნაჩვენები სარეპარაციო გადასახადების ჯამი.

საფრანგეთის ინტრიგები

ფოში „მუშაობს“

ვენა. 5 მაისი. ვარშავისაკენ მოგზაურობის დროს ფოში შეჩერდა ვენაში, სადაც ინახულა მოკავშირეების სამხედრო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ავსტრიაში—გენერალი გალლერი. გაზ. „აბენდ“-ის ცნობით, ფოშმა გალლერთან საუბრის დროს მიუთითა იმაზე, რომ შესაძლებელია ავსტრიის ჩაბმა სამხედრო კავშირში გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩეხო-სლოვაკიას არ აქვს განზრახული მიიღოს მონაწილეობა ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა ბლოკში, რომელსაც აწყობს საფრანგეთი გერმანიის და რუსეთის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთის ცნობის ბარშეული

დაუყონებლივ ცნობისათვის

სტოკჰოლმი 4 მაისი. შვეიცის მეორე პალატაში სოციალ-დემოკრატმა ემბერტმა შეიტანა ინტერპელიაცია საბჭოთა მთავრობის დაუყონებლივ ცნობის და რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ.

რუსეთ-იაპონიის დაახლოება

ტოკიო. 4 მაისი. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არაოფიციალურად განაცხადა, რომ ხმები გოტოსა და კანცლერ კატოს შორის რუსეთის საკითხის გამო უთანხმოების შესახებ უსაფუძლოა, ამავე ცნობის მიხედვით, გოტოს შუამავლობის წყალობით, რუსეთ-იაპონიის დაახლოების საქმემ საგრძნობლად წაიწია წინ.

იაპონიის პირობები

ტოკიო. 5 მაისი. გაზეთების ცნობით, იაპონიის მინისტრთა საბჭომ რუსეთთან მოლაპარაკების განახლების შესახებ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) იაპონია მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას და განაახლოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. 2) იაპონიას შეუძლია უარის თქვას ნიკოლაევის ამბების გამო ანაზღაურებაზე.

ახალი ამბები

— **ჩოლოყაშვილის ბანდის დამარცხება.** თელავის მაზრაში ჩოლოყაშვილის ბანდის და მილიციის შორის გაიმართა შეტაკება. მოკლულია ბანდის უფროსი იოსებ კახაშვილი, მძიმედ დასჭრეს და შეიპყრეს ცნობილი ბანდიტი კანდელაკი. შეპყრობილია აგრეთვე 4 წევრი. მილიციის მხრივ დაშავებულია 1 მილიციონერი. დამარცხებული ბანდიტები გაიქცნენ, მაგრამ მილიცია მათ დაედევნა.

— **დახმარება.** სახალხო საბჭოს თავჯდომარის ამხ. გეგეჭკორის განკარგულებით დაშავებულ მილიციონერს და ყველა იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩოლოყაშვილის ბანდის დამარცხებაში, მიეცა საჩუქრათ 200 მილიონი მანეთი.

— **ქალალდის ეკონომია.** ქალალდის კრიზისის გამო დადგენილია აფიშები ამიერიდან გამოცემულ იქმნას შემოკლებული, ნახევარი ფურცლის სიგანით.

— **ახალი კლინიკა.** ვინაიდან ქალაქში ბოლო ხანს გახშირდა ვენერიული და კანის ავადმყოფნი, ქალაქის საავადმყოფოსთან გაიხსნა ახალი კლინიკა კანის და ვენერიულ ავადმყოფობისათვის.

— **დახმარება.** ტფილისის აღმასკომმა გაიღო ნაძალადევის თეატრის სასარგებლოთ 500.000.000 მანეთი.

— **მებალეობის კურსები.** სახალხო მამულის „სკრასთან“ იხსნება მებალეობის და ბოსტნეულობის კურსები.

— **ბრძოლა ანიტი-სანიტარიასთან.** ტფილისში აღმასკომთან დაარსდა განსაკუთრებრივი კომისია ყოველნაირ უსუფთაობასთან საბრძოლველად. მიღებულია აგრეთვე ზომები ეპიდემიების წინააღმდეგ.

მოქალაქეთ მოუწოდებენ, რათა ყოველნაირ ეპიდემიების ასაცილებლათ დაიცვან ყოველნაირი სისუფთავე, ესე იგი შეინახონ ბინა სუფთათ, თვალყური ადევნონ მეეზოვეებს სუფთათ შეინახონ ქუჩა და ეზოები, ერიდონ უმი ხილის ჭამას, აუდუღარ წყლის დალევას, ხშირ-ხშირად იარონ აბანოებში და სხ.

— **ტრამვაი და წყალსადენი.** ტფილისის წყალსადენს მიეცა 10 მილიარდი მანეთის მასალა, რათა გააუმჯობესონ ტეხნიკურად წყლის მოწოდება მცხოვრებლებისადმი. აგრეთვე საზღვარგარეთიდან მიღებულია ტრამვაისთვის საჭირო მასალა და გადადებულია დანიშნულებისამებრ. რელსის გასაახლებლათ გადადებულია 90.000 მანეთი ოქროთი.

— **შემოხავალ-გახავალი.** იანვრის, თებერვლის და მარტის თვის განმავლობაში ტფილისის აღმასკომის კასაში შემოვიდა 324,101 მილიონი მანეთი, დაიხარჯა—262300 მილიონი მანეთი.

— **სააგრარო რეფორმა.** მიწადმოქმედების განყოფილებამ თითქმის საბოლოოდ დაამთავრა სააგრარო რეფორმა. წარსულ წლის განმავლობაში ჩამორთმეულია 6980 დესეტინა, დარიგებულია კი 5000.

— **თესვის კამპანია** თანახმად მიღებულ ცნობებით გაზაფხულის თესვის კამპანია საქართველოში მიმდინარეობს კარგ პირობებში. ბევრ ადგილას თესვა უკვე დამთავრებულიც არის, მეტადრე დაბალ ადგილებზე. რაც შეეხება ბორჩალოს, ტფილისის, ახალქალაქის, დუშეთის და სამხრეთ ოსეთისა—თესვა კვლავ გრძელდება, დასავლეთ საქართველოში ითესება ყანები.

— **სახლების შეკეთება.** ქ. ტფილისში მრავალი სახლი დაძველების გამო. მოითხოვს საძირკვლიან შეკეთებას, ამ გარემოებას აღმასკომმა მიაქცია სათანადო ყურადღება და დააჩქარა საბინაო ქირის კანონის გატარება, რათა სახლის პატრონებს მიეცესთ საშუალება შეაკეთონ სახლები. თვით აღმასკომი შეაკეთებს 100 მუნიციპალურ სახლს, გამოცემულია განსაკუთრებრივი დეკრეტი, სადაც მოქალაქეთ აქეზებენ სახლების შეკეთებაში შელავათების სახით.

— **ნეპო.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა საფინანსო-სამეურნეო დარგებში გაატაროს მტკიცედ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პროგრამა მთლიანად. აღმასკომმი ხარჯთ და შემოსავლის ანგარიშში გადადის საქონლის და ოქროს მანეთზე.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი 4 მაისს, რუსული ოქროს თუმნიანი ღირს—15 მილიონი; ჩერვონეცი—9 მილიონი; გირვანქა სტერლინგი ეფექტიკი—9.050 ათასი, ჩეკი—8 მილიონი; დოლარი ეფექტიკი—2,075 ათასი, ჩეკი—1850 ათასი; ოსმალური ქაღალდის ლირა—1,350 ათასი, იტალიური ლირა—88 ათასი და ფრანკი—112 ათასი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

მუშათა ცხოვრება

შილლერის „უაჩაღება"

კვირას, 6 მაისს, ავლაბრის მუშათა კლუბში მოზღვავებულმა საზოგადოებამ აშკარად დაამტკიცა, რომ ავლაბრის რაიონში არის ხალხი, რომელიც უკვდავ შილლერის ნაწარმოებს პატივისცემით ეპყრობა. ეს დამტკიცდა სხვათა შორის იქიდანაც, რომ საზოგადოებას კლუბის დარბაზში თავაზიანად ეჭირა თავი და ყურადღებით ისმენდა პიესას.

ჩვენ, არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს წერილებში, რომ ხალხი ყოველთვის პატივისმცემელი იქნება ხელოვნებისა იმ შემთხვევაში, როდესაც თვით **ხელოვანნი** თავიანთ მოვალეობის სათანადო სიმაღლეზე იდგებიან. აქაც ჩვენი ნათქვამი გამართლდა.

შილლერის „უაჩაღებში" გასტროლი ეკუთვნოდა აკადემიურ დრამის ახალგაზრდა მსახიობ აკ. ვასაძეს, რომელიც ასრულებდა მთავარ **ფრანც-მორის** როლს.

პიესა მწყობრად ჩატარდა, თუ არ მივიღებთ სახეში მასიურ სცენებში თოთო-ოროლა პირების როლის უცოდინარობას, რასაც დისონანსი შეაქვს საერთო ჰარმონიაში, მაგრამ ის, რაც 6 მაისს შესძლეს კოლექტივის მუშა-მსახიობებმა—მოლოდინს გადაჭარბებული იყო, ვინაიდან სცენის მოყვარე მუშებს ამაზე მეტი არ მოეთხოვებათ თუმცა კი შეიძლება მეტი მუყაითობა.

მართალია კლასიკური რეპერტუარი და კერძოდ შექსპირ-შილლერის ნაწარმოები თხოულობს ისეთ ძალებს, რომელიც ავლაბრის სცენის-მოყვარეთა კოლექტივის ძალთა განწყობილება შეიძლება მოკლებული იყოს ამას, მაგრამ საქმისადმი სიყვარულს და პასუხისმგებლობის შეგნებას საზოგადოების წინაშე—ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა შეუძლიან. ამაში ჩვენ 6 მაისს სავსებით დავრწმუნდით.

ე. კულულაშვილის **კარლოს მოორი** თამაშის მხრივ, სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო, მხოლოდ მისი მიზან სცენები და უალაგო ფათოსები, ეპვს გვიბადებს როლის გაგებაში.

საკმარისია დიდი რეჟისორის ხელი და ამხ. პაპინაშვილის **მოხუცი მოორი** სრულიად უნაკლო იქნება. პაპინაშვილი კარგი რეზონიორია სახალხო თეატრებისთვის და კარგ. პრესპექტივას იძლევა სცენაზე მუშაობისათვის.

მარგოს **ამალია** ძლიერ მკრთალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ როლი იცოდა.

პატრის როლში რ. ფირუმიანს ემჩნეოდა როლის უცოდინარობა, თამაშის მხრივ კარგი იყო.

ი. რევაზიშვილის (შპიგლერბერგი) და ჯანჯულაზოვის (შვეიცერი) მეტს მოველოდდით.

მთლიან პიესის მწყობრ მსვლელობას დანარჩენი ანსამბლი ხელს უწყობდა.

აკ. ვასაძის ფრანც-მოორზე გადაპრით არაფრის თქმა არ შეიძლება, არ შეიძლება მით უმეტეს, რომ ფრანც-მოორს განსვენებულ დიდი ქართველ არტისტის ლადო მჯსხიშვილის შემდეგ, მრავალი ახალგაზრდა ქართველი მსახიობები, როგორც მაგალითად: ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ალ. შანშიაშვილი, დ. ჩარკვიანი, ს. რომანიშვილი და სხვებიც თამაშობენ და ყველა ამათ შორის არის როლის გაგებაში სხვაობა და განსაკუთრებით გრიმიროვკაში.

ამ საღამოს კი აკ. ვასაძის ფრანც-მოორი მოსაწონი იყო თუმცა კი რასაკვირველია, ახალგაზრდა მსახიობს მოეპოვება საკუთარი პოტენცია და სავსებით ძალუძს უკეთესად განასახიეროს ღვარძლით აღსავსე და ბუნებისაგან უხვად სიმახინჯით დაჯილდოვებული მაღალი წრის ადამიანი ფრანც-მოორი.

წარმოდგენას ხალხი დიდძალი დაესწრო. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 12 მაისს. წარმოდგენილი იქნება ცნობილი რევოლიუციონური პიესა **„კაიუს გრაკხი"**.

კლუბის ადმინისტრაციას სანთლების მარაგი ყოველთვის უნდა ჰქონდეს ისეთ მოსალოდნელ შემთხვევებისთვის, როგორც ამ საღამოს მოხდა: უკანასკნელ მოქმედების დროს ჩაჰქრა ელექტრონის სინათლე და როგორც დარბაზში მყოფი ბოგადოება, ისე მსახიობნი უხერხულ მდგომ[illegible]ებაში ჩაცვივდნენ. სინათლეს კი არაფერი ეშველ[illegible]

მუშა ისკან[illegible]ი.

ფერეიდანელი ქართველები.

თითქმის ნახევარი საუკუნე იქნება რაც ქართული პრესა დრო გამოშვებით ბეჭდავს ცნობებს სპარსეთში დასახლებულ ქართველ მაჰმადიანებზე და მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას დახმარების გასაწევად. მაგრამ აქნობამდის გასაკვირველი გულგრილობით ეკიდებოდა ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ თვით ფერეიდანელი ქართველები ეწვივნენ საქართველოს და ამ პირებს აქაური საზოგადოება უმართავდა ტრადიციულ მასპინძლობას კახური ღვ..ნით, აძლევდნენ საჩუქრად წიგნაკებს და საგზაო ფულს და ეგრე ისტუმრებდნენ უკან. თუმცა აქნობამდისაც ადკილად შესაძლებელი იყო, რომ ფერეიდანელ ქართველებისთვის უფრო ფრიად თვალსაჩინო კულტურული დახმარება გაგვეწია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში არ გამოჩნდა არც ერთი პირი, რომ ეთავა ამ საქმის გაძღოლა.

თუ რა დიდ საჭიროებას შეადგენს ფერეიდანში სკოლების დაარსება, მე მინდა მოგახსენოთ.

როგორც ცნობილია, გარდა ფერეიდანში დასახლებულ ქართველებისა, უწინ სპარსეთის ბევრ ალაგას ყოფილან ჩასახლებული ქართველები. მაგალითად: ასტრაბადის პროვინციაში კასპიის ზღვის პირას სოფ. გურჯ-მაჰალეს და თეირან-მეშედის გზაზე სოფ. აბას-აბადის მცხოვრებნი ტომით ქართველები არიან, მაგრამ იმათში ქართული ენა აღარავინ არ იცის. არის აგრეთვე რამდენიმე სოფელი დასახლებული ქართველებით გალანის, მაზანდარანის და არლისტანის პროვინციებში. გარდა ამისა ბევრ სხვა ალაგასაც უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომლებიც ჟამთა ვითარების გამო უნიშანწყლოდ შეეთქვიფნენ იქაურ ერებს.

დიდებული ინგლისელი მეცნიერი დარვინი თავის „ადამიანის წარმოშობაში" სწერს, რომ ბოლო საუკუნოებში სპარსელების ტიპი შესამჩნევად გამშვენიერდა და თითქმის მთლად შეიცვალაო, რადგანაც ქართველების სისხლი ბევრი აქვთ შერეულიო. ეპვს გარეშეა აგრეთვე, რომ როდესაც სპარსელები აიძულებდნენ ხოლმე იქაურ ქართველებს მაჰმადის რჯული მიეღოთ, იქ სადაც ქართველების ახლო სომხებიცა ცხოვრობდნენ, არა ერთი და ორი ქართველი ოჯახი მიიღებდა სომხის სარწმუნოებას, რომ თავი ეხსნით გამაჰმადიანებისაგან. და ალბად, ეს არის მიზეზი, რომ ეხლა ბევრ სპარსეთის სომეხს ძალიან დაჰკრავს ქართული იერი.

სხვა სპარსეთის კუთხეებზე არას ვიტყვი, მხოლოდ რაც შეეხება ისპაჰანის პროვინციაში შაჰაბაზის მიერ გადასახლებულ ქართველებს ისინი კიდევ კარგა ხნის განმავლობაში უნდა დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად. შაჰაბაზის მეფობამდე თუ არა, მის დროს მაიც უნდა ჰქონოდათ საკუთარი ეკლესიები რადგანაც ცნობილია, რომ შაჰაბაზი სპარსეთში ქრისტიანებს არა სდევნიდა და გადასახლებულთა კარგად მოწყობისათვის ზრუნავდა და როგორც სომხები, აგრეთვე ქართველები საუკეთესო ადგილებზე დააბინავა. და თუ იმის მეფობის დროს სომხებმა ააშენეს ისპაჰანის გვერდზე მდებარე სოფ. ჯულფაში რამდენიმე საყდარი, ვგონებ, არც ქართველებს დაუშლიდნენ ამას. თუმცა უტყუარი საბუთები არა გვაქვს, მაგრამ ამას ცოტად მაინც მოწმობენ—გარდა ბევრი საფლავის ქვებისა ქართული წარწერებით, როგორც შიგ სოფ. ჯულფაში და სოფლის გარედ სასაფლაოზედაც, აგრეთვე ზოგიერთი ეკლესიური ნივთები. მაგალითად, სოფელი ჯულფის სომხების ერთ საყდარში ინახებოდა ფრიად შესანიშნავი ხელოვნების მხრივ გარდამოხსნა ქრისტესი ხუცური და მხედრული ზეწარწერით და ეს იშვიათი ისტორიული და მხატვრული ნაშთი ამ თორმეტი წლის წინათ სომხის სამღვდელოებამ მიჰყიდა შვიდას სპარსულ თუმნათ თეირანელ სომეხს აღათიანცს, რომელმაც მაშინვე პარიზში გაუგზავნა თავის კომისიონერს.

სპარსეთში გადასახლებულ ქართველებს გამაჰმადიანებამდე, რასაკვირველია, კარგად ექნებოდათ შენახული ქართული ენა. მხოლოდ რჯული გამოცვლის შემდეგ კი ზოგგან სრულებით დაივიწყეს სამშობლო ენა და მხოლოდ იქ, სადაც ერთ ალაგას ბევრსა ჰქონდათ მოყრილი თავი, როგორც მაგალითად ფერეიდანში, თუმცა აპრელებული სპარსულარაბული სიტყვებით, მაინც შენახულია ქართული ენა. რომ სამშობლო ენის დაცვაში კულტურულ მხრივ დაბალ საფეხურზე მდგარ ხალხში სარწმუნოებას და სამღვდელოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ეპვს გარეშეა. ამის კარგს მაგალითს წარმოადგენენ სპარსეთშივე დაქსაქსული სომხები, რომლებიც ყველგან თავიანთ სამშობლო ენაზე ლაპარაკობენ. მე ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ამ ღმერთების აფეთქების ეპოქაში სპარსეთის ქართველებში ქრისტიანობის ხელმეორედ დანერგვას ვეცადოთ. ეხლა ჩვენ შეგვიძლიან და ვალდებულნიცა ვართ სწავლა განათლება შევიტანოთ იმათში და ამით ღირსეულ თანამემამულეებათ ამოვიყენოთ გვერდში.

ამ ჟამად ფერეიდანში (ქალ. ისპაჰანიდან 140 ვერსი იქნება) თოთხმეტი სოფელია ქართველებით დასახლებული. მცხოვრებლები მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. დიდ სიბნელეში იმყოფებიან და, როგორც საზოგადოთ მთელი სპარსეთის გლეხ-კაცობა, დიდ გაჭირვებას განიცდიან ერთის მხრით მემამულეებისაგან და მეორეთი მთავრობის მოხელეებისაგან. ამ უბედურ სპარსეთში, სადაც ყველა მოხელე მოქრთამე და მძარცველი არისუსინათლოა გლეხ—კაცის ცხოვრება.

სპარსეთში გარდა ქართველებისა და ზემოხსენებულ სომხებისა, ბევრი სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს. როგორც მაგალითად ასირიელები, ურიები და სხვანი.

მაგრამ არც ერთი ამათგანნი ისე არ არიან დაბეჩავებულნი, როგორც იქაური ქართველები. ყველა სპარსეთში მცხოვრებ ქრისტიანს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ესარჩლებიან და ხშირად დიდ დახმარებას უწევენ თავიანთი ავტორიტეტით. ურიებსაც კი ჰყავთ მოსარჩლე. ამ უკანასკნელ წლებში ურიათა საზოგადოებამ „Alliance Jzraêlite სპარსეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში დააარსა სასწავლებლები, რომელთა დირექტორები საფრანგეთიდან არიან. ეს დირექტორები თავიანთ თავს ურიების კოლონიების მამასახლისებათ სთვლიან და ყოველ საჭირო შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებისაგან დახმარებას თხოულობენ. აგრეთვე არც ერთი უცხო ტომის ხალხი სპარსეთში იგრე არ არის დაქვეითებული, როგორც სომხები, აგრეთვე ურიები დიდი ხანია ბევრათ დაწინაურდნენ მკვიდრ მცხოვრებლებ სპარსელებზე, რადგანაც უცხო ქვეყნებიდან, როგორც სომხების, აგრეთვე ურიების საზოგადოებანი დიდ დახმარებას უწევენ თავიანთ ტომის ხალხს.

თეირანზე არას ვიტყვი, რადგანაც როგორც სპარსეთის დედა ქალაქში, გარდა მთავრობის სასწავლებლებისა, ბევრი ევროპიელების და ამერიკელების საქველმოქმედო საზოგადოებათა სასწავლებლები არსებობს.

მაგალითად მოვიყვან ქალ. ისპაჰანს, რომლის პროვინციაში ქართველებიც ცხოვრობენ. ისპაჰანის ერთი დიდი უბანი „ჯუბარე" ძველის ძველი დროიდან დასახლებულია ურიებით, რომლებსაც სპარსელები უწინ პირუტყვზე უკეთესად არ ეპყრობოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზემოხსენებულ ურიათა საზოგადოებამ გახსნა იქ სასწავლებელი, იმათი მდგომარეობა შესამჩნევად გამოკეთდა. სომხებმა ხომ დიდი ხანია, რაც ისპაჰანის გვერდზე მობმულ სოფ. ჯულფაში გახსნეს რამოდენიმე სასწავლებელი ორივე სქესის ბავშვებისათვის. ეხლა იმდენად დაწინაურებულია ეს სოფელი, რომ ამ ჟამად სატახტო ქალაქ თეირანშიაც არ არის იმისთანა თეატრი და წიგნთ საცავი სამკითხველოები, როგორც სოფ. ჯულფაში. არც ერთი ქალაქი ან სოფელი სპარსეთში არ არის ეგრე მოწყობილი ყოველ მხრივ, როგორც ეს სოფელი. სისუფთავე ჯულფელების სახლ-კარ-ეზოებისა და ქუჩებისა განსაცვიფრებელია სპარსეთისათვის. აქვთ სამკითხველოები, კლუბი, ბურთის სათამაშო მეიდანი და სხვა კულტურული გასართობები. ყველა ეს შექმნა არა სპარსეთის მთავრობამ, რომელიც მუდამ მტერი იყო და არის განათლებისა, არც თვით ისპაჰანის სომხობამ, ესენი გამოაღვიძა და ფეხზე დააყენა რუსეთის სომეხთა საზოგადოებამ.

სკოლები იმათი ფულით აშენდა, მასწავლებლები იმათ გამოუგზავნეს და ბევრი სხვა შემწეობა გაუწიეს.

რუსის ძველი მთავრობა ზრუნავდა და ახალმა მთავრობამაც უფრო მეტი ყურადღება მიაქცია სპარსეთში მცხოვრებ რუსების განათლების საქმეს და ამ ჟამათ თეირანში და ენზელში აქვთ მშვენივრად მოწყობილი სასწავლებლები.

ის უბედური ქართველები კი ყველასაგან ყურ[illegible] მიგდებულნი არიან. და მით უფრო უნუგეშოა იმათი მდგომარეობა, რომ ჩვენს მეტი იმათთვის თავს არავინ არ აიტკივებს. და თუ ჩვენ არ ვიკისრებთ იმათთვის ძმურად ხელის გაწვდას, იგრე გადაგვარდებიან სამუდამოთ, როგორც გადაგვარდა არა ერთი ათასი ქართველობა სპარსეთში.

ეხლა როგორც ისმის, ფერეიდანელ ქართველებისთვის კულტურულ დახმარების გაწევა თავს იდვა საქართველოს ცენტალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის განხორციელებას ამ მოკლე ხანში შეუდგება.

აშენებული იქნება სკოლა და საავადმყოფო.

რადგანაც ამ საქმის გაძღოლა უკისრია მთავრობას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საწყალ ფერეიდანელ ქართველებს მალე, აუსრულდებათ დიდი ხნის სურვილი და დაინახავენ თავიანთ „დიდ ძმებს" იმათთან დასახმარებლად მისულებს.

საზოგადოთ სკოლის და საავადმყოფოს გახსნა ძალიან რთულ რამეს არ წარმოადგენს, მაგრამ ფერეიდანში ამათ დაარსებას თავიდანვე ბევრი რამის გათვალისწინება დასჭირდება. და ამისათვის კარგი იქნება, რომ ქართველ საზოგადოების მიერ ამორჩეული იქმნეს კომისია, რომელიც მთავრობის წარმომადგენელთან ერთად შეიმუშავებს საჭირო გეგმას და ამ სასიქადულო საქმეს ჩაუდგამს მტკიცე საძირკველს.

გ. ბიაშვილი.

პარტიაში

დ. ხარაგოული.

დაბა ხარაგოულში ამა წლის მაისის 4—2 მემარცხ. სოც.-ფედ. სარაიონო კომიტეტის მიერ მოწვეულ იყო საჯარო კრება, რომელზედაც მოხსენება უნდა გაეკეთებია მთავარი კომიტეტის წარმომადგენელს.

ნაშუადღევის სამი საათია და ხალხი ნელნელა იყრის თავს კომკავშირის თეატრის დარბაზში მალე ტევა აღარ არის. რამდენიმე ფეხზე სდგას.

სრულ ხუთ საათსე, სარაიონო კომიტეტის სახელით ამხ. კალ. ასათიანი კრებას გახსნილად აცხადებს და აცნობს საზოგადოებას დღეანდელი კრების მიზანს. აღნიშნავს სამწუხაროდ, რომ ამხ. სერგო ამაღლობელი, რომელსაც განცხადების მიხედვით უნდა წაეკითხა მოხსენება ვერ ჩამოვიდა ავადმყოფობის გამო.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კალ. ასათიანი, მდივნათ გ. მეტრეველი.

მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი თავზარაშვილმა შემდეგ თემაზე: „ჩვენი პოლიტიკა". მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა მთლიანი სოც.-ფედ. პარტიის პოლიტიკაზე მენშევიკების დროს და გარკვევით აღნიშნა ყველა ის მიზეზები, რამაც შექმნა ტენდენცია მემარცხენე ფრთის ჩამოყალიბებისა. დეტალურად იქმნა აღნუსხული პრაკტიკული პოლიტიკა მემარცხენე სოც.-ფედერალისტა პარტიის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, გაზეთ „სოციალისტ ფედერალისტი"-ს და დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედების გეზი ახალ ხელისუფლებასთან კონტაქტის შესაქმნელად. საერთაშორისო მომენტის და საქართველოს სინამდვილის მოკლე ეკსკურსიით, ამხ. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ საქ. მემარცხენე ს.-ფ. პარტიის პოლიტიკური ალღო სწორი და მართებული გამოდგა. 1921 წ. თებერვლის აქტის შეფასებაში.

ამის შემდეგ იგი ეხება საქართველოს მემარჯვენე პარტიების „პოლიტიკას" „პარიტეტული" კომიტეტის შექმნას და მის კრახს. „სოციალისტურ" ინტერვენციას, რომელსაც იზიარებდა და იზიარებს საქართველოს მენშევიკური პარტია. შეეხო მემარჯვენე ფედერალისტების კონტაქტს მენშევიკებთან და შესაფერისი არგუმენტებით ამტკიცებს რომ მემარჯვენე ფედერალისტებმა სრულიად დაჭკარგეს რევოლიუციონერობა, [illegible] ლიზმი—საბჭოთა [illegible] თის რევოლიუციის ორიენტაციის უარყოფით. და სასრულ მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საქართ. მემარცხენე სოც.-ფედ. პრაქტიკულ პოლიტიკაზე—აღნიშნავს ჩვენი პარტიის დამოკიდებულებას კომუნისტურ პარტიასთან და ახსენებს იმ ძირითად მოტივებს, რაც საერთოა და საიდანაც იწყება სხვა დასხვაობა ჩვენსა და მათ შორის. უკანასკნელად ამხ. იგონებს კომ. პარტიის მე-XII ყრილობას და ეროვნულ საკითხს, რომელიც ესოდენ მკვეთრად იყო წამოჭრილი ამ ყრილობაზე.

იყო შეკითხვები როგორც ამხ. კომუნისტებისაგან, ისე უპარტიოებისაგან, რაზედაც ამხ. მომხსენებელმა შესაფერისი პასუხი გასცა.

ამით დასრულდა საჯარო მოხსენება ვრის შემდეგაც გაიხსნა პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება.

პარტიულ კრებაზე არჩეულ იქნა თავმჯდომარედ ამხ. პ. თავზარაშვილი, მდივნად ამხ. მ. მეტრეველი.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1. საორგანიზაციო მუშაობა, 2. დროებითი კომიტეტის ნაცვლად ახალი მუდმივი სარაიონო კომიტეტის არჩევა, სარევიზიო კომისიის არჩევნები და 3. მიმდინარე კითხვები.

საორგანიზაციო მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. თავზარაშვილი, რომელმაც ფართოდ გააცნო კრებას ორგანიზაციული მუშაობა. სათემო კომიტეტის დაარსების მნიშვნელობა და კავშირი სამაზროსა და ცენტრალური კომიტეტთან.

სარაიონო კომიტეტში არჩეულ იქნა შვიდი ამხანაგი: 1. მიშა მეტრეველი, 2. კალისტრატე ასათიანი, 3. იოსებ ქუთათელაძე, 4. დავით ჩიკვაიძე, 5. ზაქარია მაჭავარიანი, 6. შალვა სვანიძე და 7. ცქიტიშვილი გენადი. აგრეთვე არჩეულ იქმნა მათი კანდიდატები. სარევიზიო კომისიაში: 1. იოველ სებისკვერაძე, 2. მიტროფანე კიკნაძე, 3. დათიკო საყვარელიძე. მათ კანდიდატებათ: პავლე თავზარაშვილი და შალვა ჭიპაშვილი.

კრება დაიხურა საღ. 9 საათზე. ახალ კომიტეტის სხდომა დაინიშნა მაისის 6-სათვის.

პასუხისმგებელი მდივანი **მიშა მეტრეველი.**

ეკონომიური ცხოვრება

— **მეტრიული სისტემის შემოღების ვადა.** მეტრიული რეფორმის გასატარებელი მუშაობა ნაყოფიერათ მიმდინარეობს. ორი თვის შემდეგ განზრახული არის ყველა დაწესებულებებსა და სარეწნაოებში ქ. ტფილისისა, შემოილონ მეტრიული ზომა სიგრძისა; 3—4 თვის შემდეგ—საწონის ზომა 5—6 თვის შემდეგ—სითხეების და სხვა სხეულების ზომა. მთელი მუშაობა უნდა დამთავრდეს ახალი წლის დასაწყისისათვის რეფორმის გატარება მთელ რესპუბლიკაში ნავარაუდევია 2 წლის განმავლობაში.

— **მოთხოვნილება მარგანეცზე გერმანიიდან.** რუსეთ-გერმანიის სავაჭრო საზოგადოების სამხრეთ-აღმოსავლეთის განყოფილებამ თხოვნით მიმართა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რათა აცნობონ ჭიათურის მარგანეცის ექსპორტს პირობები. ხსენებულ საზოგადოებას განზრახული აქვს გაზიდოს გერმანიაში მარგანეცის დიდი რაოდენობა.

— **ცეკავშირის განყოფილებანი.** დუშეთსა და ახალციხეში გახსნილ იქმნა ცეკავშირის განყოფილებანი.

— **შირაქის ნავთი.** შირაქის ნავთის ერთი ჭა № 6, 17 საქენის სიღრმისა, ამ ჟამათ ყოველდღიურათ იძლევა 30 ფუთ ნავთს; № 3 ჭა დღედა ღამეში 25—30 ფ. იძლევა.

— **სამარგანეცო კომისიის მუშაობა.** კომისიამ დაასრულა წინასწარი მუშაობა მასალების შეკრებისა და შესწავლისათვის,—მარგანეციან ადგილების იჯარით გასაცემათ, თანახმად განსაკუთრებული დებულებისა. მთელი ჭიათურის რაიონის

ს. მრეწველობა, შეერთებული მიწად-მოქმედებასთან.

მკითხველს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები უკანასკნელ დროამდე სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ განეევითარებინათ მრეწველობა, დაემზადებინათ რაც შეიძლება მეტი საქონელი—ფართალი თუ იარაღები და სხვა, რომ შემდეგ გაეყიდნათ იგი სხვა ქვეყნებში და სამაგიეროთ შემოეტანათ თავის ქვეყანაში პური და ნედლი მასალა მრეწველობისათვის. ამისათვის არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ და ხშირად ომებსაც კი აწარმოებდნენ, რომ დაეპყროთ სხვა ხალხები და მით გასასაღებელი ბაზრები გაეჩინათ თავიანთ მრეწველობისათვის.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი გზა და პოლიტიკა დიდად შემცდარია, რომ ას წლად უმჯობესია ამოდენა ცდა და ხარჯი თვით თავის ხალხში მოიხმარო, თვით თავის ხალხში წასწიო წინ მეურნეობა და მით იმდენად გაამდიდრო სამშობლო, რომ იქვე, შენს ხალხში, გაასაღო მთელი შენი სამრეწველო ნაწარმოებნი და არა ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდე მათ სადღაც ცხრა მთას იქით ხალხებში. აღმოჩნდა, რომ ასე მიდის დღეს საქმე ამერიკაში, ასე მიდის ცხოვრება საფრანგეთშიაც, რომ სხვა სახელმწიფოებიც მალე იძულებულნი იქნებიან დაადგნენ სწორედ იმავე გზას და პოლიტიკას.

აშკარად და უაღრესად დაამტკიცა ეს უკანასკნელმა მსოფლიო ომმა. ზემოდ მოხსენებულ შემცდარი შეხედულებისა და პოლიტიკის გამო, გერმანია მთელი ორმოცი წელიწადი ემზადებოდა ომისათვის, რომ დაეპყრო რუსეთი, ბალკანეთი, ოსმალეთი და საზოგადოთ აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ხალხები, აემუშავებინა ისინი გერმანიისათვის პურისა და ნედლი მასალის დამზადებისათვის, ხოლო თითონ მიეწოდებინა მათთვის სამრეწველო ნაწარმოებნი, როგორც შვრებოდა ამას ინგლისი.

მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი ჩვენი ხალხისაგან: „წამწყმიდა წახედულობამაო“. ასე დაემართა გერმანიასაც. მის ასეთს განზრახვებს წინააღუდგნენ ინგლისი და საფრანგეთი, რადგანაც თქმა არ უნდა, რომ გერმანიის მიერ შესრულება ასეთი გეგმისა, მათაც დიდს ზიანს მიაყენებდა და ბევრს სხვა უბედურებას და ომებსაც გამოიწვევდა.

ომმა ფარდა ახადა კაცობრიობის ცხოვრების მრავალ მოვლენებს: ომამდე, მაგალითად, ეკონომისტები გაიძახოდნენ—გვიშველეთ, ვიღუპებით, შეაჩერეთ და მოაწესრიგეთ წარმოებანი, რას შვრებით, ვერ ხედავთ მიწასთან ვწორდებით სამრეწველო ნაწარმოებთა ზედმეტად დამზადებითაო და სხვა ასეთ ზღაპრებით უპედავდნენ ქვეყანას ყურებსა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ეს ზედმეტობა და ყვირილი სულ ტყუილი იყო, რომ ქვეყანას არავითარი ზედმეტი ნაწარმოები არა ჰქონდა და ეს ამბავი სულ მცირე ხანში დაეტყო ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოებს, რასაც მოჰყვა აუწერელი გაჭირება, ნაკლეულობა, სიმშილი, მარცხი და სხვა.

აღმოჩნდა აგრეღვე, რომ არც ნედლი მასალა ჰქონია ქვეყანას ულეველი, რომ კაცობრიობის სიმდიდრე სულ მოჩვენებითი იყო, რომ კაცობრიობა ძლივს-ძლიობით ცხოვრობდა დღიდან დღეებზე, რომ თვით უმდიდრეს ინგლისშიაც კი უკვე ომის მესამე თვეს აღმოჩნდა მის მრეწველობისათვის აუცილებლად საჭირო ყოველგვარი ნედლი მასალას ნაკლებობა, რომ არც ქებული ამერიკა ყოფილა ულეველი ბეღელი და ამიტომ მანაც შეამცირა და განსაზღვა პურისა და ხორცის ხმარება, როი უფრო დიდს ხანს გასწდომოდა იგი თავისთ და მოკავშირეებისათვის.

ამერიკა და ინგლისი ხელად მიხვდნენ თავიანთ წინედ წარმოებული პოლიტიკის შეცდომას და დაუყოვნებლივაც შეუდგნენ საქმის გამოკეთებას: მიიღეს ითასნაირი ზომები გაადიდონ პურისა და ნედლი მასალის დამუშავებისთვის და გამოიგონეს ამისათვის ათასნაირი მანქანები და სხვა საშუალებანი მეურნეობის წარხამატებლად. ხოლო, ინგლისმა, უკვე 1917 წლიდამ ხელი მიჰყო იმ მიწების დახვნასაც კი, რომელთაც ასი წლობით არ ენახათ გუთანი, შემოიღეს ამერიკაში გუთნები-ფრაქტორები და დღე და ღამ, ელექტრონული განათების დახმარებათ და საგანგებოდ შემდგარი რაზმებით, ხნავდნენ და სთესავდნენ თავიანთ ხელუხლებელ მიწებსა.

ჩვენში კი ვის და რას უნდა დასდოს ბალამი მიწების დაქუცმაცებამ? ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის კომუნიზმის მამა-მთავარი ბაბეფი, დიდი წინაალმდეგი იყო მიწების დაქუცმაცებისა, ანუ, როგორც მეცნიერები ეძახიან პარცელარული სისტემისა, რადგანაც ეს სავსებით დაამხობს სასოფლო მეურნეობასაო. დაქუცმაცებას მამებმა დაუპირდაპირა მიწების საერთოდ დამუშავება და რატომ ჩვენც ასე არ მოვიქეცით და **ხაპურე მინდვრები** მაინც არ გამოვაცხადეთ ადგილობრივ თავის ნებითვე შემდგარ დიდ თუ პატარა კომუნების საკუთრებად, ეს ხომ ათას წილად უფრო ადვილი იქნებოდა და თვით უსაქონლო და უმიწაწყლო ხალხისთვის ზედ-მისწრება, რადგანაც მოსავლის გაყოფა ოჯახში მყოფ სულის მიხედვით იქნებოდა. აღარას ვამბობ იმაზე, რომ მხოლოდ კომუნებს შეუძლიანთ ნელ-ნელა და თანდათან მაქსიმუმამდე აიყვავონ და წინ წასწიონ მინდვრის მეურნეობა, რადგანაც კომუნებს მუდამ მზათა ჰყავს ულეველი მუშა ორივე სქესისა და საშუალებაც ექნება მანქანების სყიდვისა...

რაც შეეხება მეურნეობის სხვა დარგებს—ბაღოსნობას, მევენახობას, მებოსტნობას, მეფუტკრობას, მექათმობას, მესაქონლობას და სხვა მისთანა საქმეების წარმოებას, ყველა ამისათვის სავალდებულოდ უნდა მისცემოდა თვითეულ მეკომურს თითო ანუ ორ ორი დესეტინა მიწა სრულ საკუთრებად და თავის ნებაზედ მასზე მუშაობა და მეურნეობის ამა თუ იმ დარგების წარმოება, თორემ რა გლეზი და მეურნეა ის სოფლელი, რომელიც დღეს ასიოდე საჟენზე მოკალათებულა და გასაქანი არსაითა აქვს?! ამაზე მე უკვე მქონდა წერილი „ტრიბუნის“ 437 ნომერში დაბეჭდილი, და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ...

ვიტყვი მხოლოდ, რომ მიწად-მოქმედების მთავარი დანიშნულება ის არის, რომ გარდა თავის პატრონისა და მისი ოჯახის შენახვისა. მან უთუოთ საკმაო პური და ხორცი ქვეყანასაც უნდა მისცეს და ეს კი მხოლოდ კომუნებს და კომუნალურ მეურნეობას შეუძლიან და არა წვრილმალ ნორმების კერძო პატრონებს, ასეთმა ნორმებმა ნეტავი თავის პატრონი და მისი ოჯახი გააძღოს...

ივანე როსტომაშვილი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲓᲝᲜᲐᲣᲠᲘ
(მისი დღევანდელი ბენეფისის გამო)

დღეს, ხუთშაბათს, მაისის 10, რუსთაველის აკადემიურ თეატრში, საყურადღებო ბენეფისია.

ნიჭიერი მსახიობი ქალი ელენა დონაური თავის ხუთი წლის ქართულ სცენაზე მოღვაწეობის თავზე სდგავს შილლერის ცნობილ პიესას **„მარიამ სტიაურტს“**.

ეს პიესა ნათარგმნია იოსებ ბაქრაძის მიერ და ამ სეზონში პირველად იდგმება სრულიად ახალი მიზან-სცენებით და დეკორაციებით.

ელენე დონაური, როგორც იქნა, ხუთი წელიწადია რაც რუსეთიდან ქართულ სცენაზე გადმოვიდა. რუსულ სცენაზე საპატიო ადგილი ეჭირა, დიდი მომავალიც მოელოდა, მაგრამ მან სამშობლო სცენაზე ირჩია სამსახური.

სამსახური და გაჭირვებაც...

და ამ ხუთი წლის განმავლობაში მან ამსახურა თვისი ნიჭი, სამსახიობო განათლება, უნარი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება, მოყვარული ხელოვნებისა და ჩვენის სცენის ქურუმია,—ამ დღეს სიამოვნებით დაესწრება წარმოდგენას.

და თავისი გულმხურვალებით სიყვარულის ფიანდაზას დაუფენს სამშობლო ხელოვნების ამ ახალგაზდა ნიჭიერ ქურუმს.

სალამი და გამარჯვება ელენე დონაურს!

უდაბნოელი.

ᲘᲕ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ.

11 მაისს სახელმწიფო საოპერო თეატრში იმართება ივ. ფალიაშვილის ბენეფისი. იდგმება ვაგნერის ცნობილი ოპერა „ლეონგრინი“. უმთავრეს პარტიებს ასრულებენ: ლოენგრინს—ვ. სარაჯიშვილი, ელბას—ბოკოვა, ორტრუდას—მუხტაროვა, ფრიდრიხ—ა. ინაშვილი, მეფეს—საბინინი. ორკესტრი—გაძლიერებულია 54 კაცამდე. ამ საღამოს თავისუფალნი მსახიობნი მონაწილეობას ღებულობენ გუნდებში.

ვანო ფალიაშვილი ცნობილია ჩვენში როგორც დიდი მაესტრო, დიდი დირიჟორის სახელით. სრული შვიდი წელიწადია რაც იგი მოწყვეტილი იყო სამშობლო ნიადაგს და რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში მოღვაწეობდა. ტფილისში მას აქვს კარგი წარსული. ვანო ფალიაშვილი ია კარგარეთელთან ერთად სდგამდა ქართულ ოპერებს. „დემონი“, „სევილიელი დალაქი“ პირველად მისი დირიჟორობით მიდიოდა. რუსეთში ვანო ფალიაშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ვანო ფალიაშვილი არის სერიოზული მუსიკოსი. მას აქვს დიდი მუსიკალური ცოდნა და ერუდიციაც. ვისაც მისი დირიჟორობა უნახავს, ყველა დარწმუნდებოდა, რომ ეს ადამიანი დიდი გემოვნებით და ალღოთი არის დაჯილდოვებული. როგორც დიდი ხელოვანი მას არა ერთხელ გამოუტანია თავის მხრებზე ამა თუ იმ მუსიკალურ ნაწარმოების შესრულების ნაკლულოვანება და თავისი მხატვრული ტემპერამენტით დიდ მიხწევამდის მისულა.

ტფილისის საზოგადოება, ალბად, დააფასებს ვ. ფალიაშვილის ნიჭს. მით უმეტეს რომ ბენეფიციანტმა ამოირჩია ისეთი ოპერა როგორც არის „ლოენგრინი“. ვაგნერი იშვიათად იდგმება ჩვენ სცენაზე. ამის მიზეზი უმთავრესათ ოპერის სიძნელე უნდა იყოს. შესრულების მხრივ დიდ გარანტიას იძლევა ვ. ფალიაშვილის მაგიური ხელი რომელიც საუცხოოდ აახმაურებს ვაგნერის გრიგალს.

ა. დ.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔ.

ორშაბათს, 7 მაისს, ხელოვანთა სასახლეში შესდგა პოეზიის დღის საზეიმო საღამო. საღამო გახსნა მოკლე სიტყვით მწერალთა კავშირის თავჯდომარემ კ. მაყაშვილმა.

მომღერალთა გუნდმა შეასრულა საგანგებოდ ამ საღამოსათვის დაწერილი კომპოზიტორ დ. არაყიშვილის მიერ პოეზიის ჰიმნი, საზოგადოებას ძალიან მოეწონა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პოეზიის შესახებ ნ. შიუკაშვილმა. ვ. სარაჯიშვილმა იმღერა ყარაშვილის რომანსი „დავრდომილი სნეული“, გრიშაშვილის „გენაცვალე“ და სხვა. გუნდმა შეასრულა კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით რამოდენიმე გურული სიმღერა, სულხანიშვილის ჰიმნი „ღმერთო ღმერთო“ და „სამშობლო ხევსურისა“.

ფოცხვერაშვილმა აღნიშნა რომ, „სამშობლო ხევსურისა“ შესწორებული არისო. ამ გარემოებამ გაკვირვება გამოიწვია. მართლაც სულხანიშვილის ხელმეორედ შეკეთება დაუშვებელია, მით უმეტეს რომ, „სამშობლო ხევსურისა“ ერთ მის საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება, და როდესაც 1913 წელს ვ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეიზედ სულხანიშვილის ლოტბარობით ის დიდი გუნდისაგან იყო შესრულებული, დიდი მოწონება და არაჩვეულებრივი აღტაცება გამოიწვია. მას შემდეგ ქართველი საზოგადოება ბევრჯელ დამტკბარა ამ მართლაც, რომ მშვენიერი ნაწარმოებით.

დასასრულს ს. გრიშაშვილმა, ვ. რუხაძემ, ობოლმა მუშამ, ს. მგელაძემ, ვ. ძიძიგურმა, გ. ტაბიძემ, დემ. შენგელაიამ, (ნაწყვეტი მოთხრობიდან) ტ. გრანელმა, გ. აგარელმა, ი. დაროშვილმა, დ. მეგრელმა, ს. ფაშალიშვილმა წაიკითხეს თავისი ნაწარმოებიდან.

პოეტები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა საზოგადოებამ. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ვ. ბუთ—ლი.

ᲒᲘᲒᲝ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ 25 Წ. ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

კვირას მაისის 6-ს რუსთაველის თეატრში შესდგა ქართულ თეატრის მსახიობის და რეჟისორის თანაშემწის გ. იორდანიშვილის 25 წ. აღსანიშნავად იუბილე. რომელსაც საკმაო საზოგადოება დაესწრო. ამ საღამოსთვის დადგმული იქნა გ. სუნდუკიანცის ცნობილი პიესა „პეპო“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი თეატრის დამსახურებული მსახიობნი: ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ვ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე, ვ. გამყრელიძე და თვით იუბილიარი. პიესა კარგად იქნა შესრულებული და ძველი თბილისის ტიპების ნახვამ კიდევ ერთხელ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. დასასრულს—იუბილიარს მიულოცეს სხვა და სხვა თეატრების და დრამატიულ წრეთა წარმომადგენლებმა. იყო საჩუქრები ფულით; მიართვეს ცოცხალი ყვავილები; რუსთაველის აკადემიური თეატრის კომისარმა მიართვა მსახიობს ჟეტონი; მიღებულ იქნა დეპეშები საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებიდან და პროვინციებიდან. კარგი სანახავი იყო, როდესაც სცენაზედ გამოვიდა მშვენივრად მორთული ყვავილის და ხილის „თარფით“ იარმუკელი ცნობილი „ალეი-ბუდიშ“-ი რომელიც არც ერთ ქართულ წარმოდგენას არ აკლდება, ალეი-ბუდიშმა ლექსი უძღვნა იუბილიარს რამაც საზოგადოებაში ტაში გამოიწვია. საღამო ამით დასრულდა.

ე. ბ—ლი.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲙᲘᲜᲝ—განათლების კომისარიატთან არსებულმა კინო-სექციამ ღაავზიცა საბავშო კინო სპეციალური პროგრამით, რომელიც განკუთვნება ბავშვებისათვის „საბავშო თეატრში“ ნოემბერმიელ ცენტრ. კლუბში ყველაში ოდენ.

ᲫᲣᲙᲣ ᲚᲝᲚᲣᲐᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ—სოხუმში, ფოთში და ბათომში მაისის შუა რიცხვებში გაიმართება სახალხო ლოტბარის ძუკუ ლოლუას იუბილე 25 წლის სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ—წითელ-არმიელთა ცენტრარმკლუბში მომავალ კვირას გაიმართება მორიგი საბავშო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე მოლიერის პიესა „სკაპენის ცულლუტობა“.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ „ᲤᲐᲡᲙᲣᲜᲯᲘ“—ტფილისში დაარსდა ლიტერატურული წრე „ფასკუნჯი“, რომლის მიზანია: პოეზიის, ზღაპრების, ლეგენდების, ხალხური პოეზიის და მუსიკის შესწავლა. წრე შესდგება 30 წევრისაგან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ—შალვა დადიანმა დასწერა დრამა „სამაია“ ქართველ ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐᲜᲘ—მაისის თვის განმავლობაში რუსთველის თეატრში განზრახულია შემდეგი ახალი დადგმანი: შილერის პიესა „მარიამ სტუარტი“ მსახიობ ელ. დონაურის საბენეფისოთ, „ჰამლეტი“ შექსპირისა მსახიობ დავითაშვილის საბენეფისოთ, „ყაჩაღები“ შილერისა რეჟისორების თანაშემწეების ა. გველესიანის და ანთაძის საბენეფისოთ, „ბერდო ზმანია“ სანდრო შანშიაშვილისა თეატრის მუშების საბენეფისოთ, „კაი იულოს ცეზარი“ კორიშლის საბენეფისოთ, „სურამის ციხე“ ნიკო გვარაძის საბენეფისოთ, „ორი ობოლი“ ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოთ და სხ.

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

პაშა ლორთქიფანიძის ბენეფისი. 6 მაისი. **„სიმახინჯე“. დრ. 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.**

კვირას, 6 მაისს, ნაძალადევის სცენაზე გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ოთხ მოქმედებიანი დრამა „სიმახინჯე“, ეს წარმოდგენა გაიმართა ახალგაზრდა ქალის პაშა ლორთქიფანიძის საბენეფისოდ.

— ახალგაზრდა პაშა ლორთქიფანიძე ერთი იმ მსახიობ ქალთაგანია, რომელიც დაუღალავ მუშაკად ითვლება ნაძალადევის სცენაზე.

— ის მრავალ როლში გვინახავს, მრავალგვარი აღფრთოვანებით ალსავსე და აგრეთვე მრავალ გულის მომკვლელ სევდითაც აღვსილი.

„სიმახინჯეში“ სონას როლს, თვით ლორთქიფანიძის ქალი ასრულებდა შესანიშნავად.

მრავალი დრამატიული მომენტები განუცდია ლორთქიფანიძის ქალს, მაგრამ ასე არც ერთი ნათელუყვია.

მისი მახინჯი ქმარი—საშა—პავლე ფრანგიშვილი, ხომ რასაკვირველია დიდი ხანია მკერდით უდგას ხელოვნებას.

თომას როლს ასრულებდა ს. ჩიტაძე, რომელიც დიდ იმედებს იძლევა.

ღირსეულად ასრულებდა აგრეთვე ილიკოს როლს თევზაძე, მაგრამ გამოკეთება მასაც სჭირია.

ღირს შესანიშნავი იყო კუდუხაშვილის ქალის თამაში.

პ. ლორთქიფანიძის მისალოცად წარმოდგენილი იყო აგრეთვე რამოდენიმე სიტყვები, სხვათა შორის წაკითხულ იქმნა პაშას საპატივცემულოდ ლექსი, კუპრაშვილის მიერ, მაგრამ სამწუხაროდ ლექსის ტეხნიკა მოისუსტებდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა საესურველად ჩატარდა.

ნათქვამია „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“. სამწუხაროდ ვერა ჰყავს ასეთ მსახიობებს დამფასებელი და, პირიქით, ხელს უშლიან მათ.

როდესაც მსახიობნი გატაცებით გადმოსცემენ აუდიტორიას იმ მთავარ ფსიხოლოგიური განცდის მომენტებს, რომელიც პიესის ავტორს მაგარი შტრიხებით აქვს ხაზგასმული, თვალწინ გადაგეშლება სურათი საშინელი, სულიერი სიმახინჯისა; სდგახარ სულგანაბული და გაკვირვებული უცქერ ადამიანის სულის სისასტიკეს.

ამ დროს უკანა სკამიდან ისმის ჩურჩული, შემდეგ ჩურჩული კარგა მოზრდილ ლაპარაკად იქცევა. ჩშშ...შ...შ... გაისმის მეზობლის შუშუნი, იმ ხალხის დასაჩუმებლად, რომელთაც თეატრი მიაჩნიად საარშიყო დროს გასატარებლ დ.

— არ მოგიკვდეს თავი,—მოსაუბრენი განაგრძობენ თავის არა ლეგალურ საუბარს.

„აჰ, ბიჭო, კარგად გაიხედ-გამოიხედე და სთქვი მაგისთანა მთვარესავით ქალს დაინახავ სადმე? ე, ბიჭო, უშველე!!“

მეორე მხრიდან, სადაც ერთად დამსხდარან ქალი და ვაჟი, გესმის: „მე ერთი „კაროპკა“,—„ია-

ვა“ პუდრი ვიყიდე, მაგრამ მე თვითონ არ მიხმარია, სულ ამხანაგებმა დაბილიეს“.

„თქვენ თვითონ ლამაზი ხართ“, ეუბნება ვაჟი.

— რაღად გინდათ პუდრი, ისეც ლამაზი ხართ, აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახეთ თუ ამდენ ხალხში თქვენისთანა ლამაზი არის ვინმე!

მესამე მხრიდან ხედავ, რომ ვიღაც ორი „სუბიექტი“, ქალს კაბის სახელოში „ზაპისკა“-ს უგდებდენ. ქალი, რომელიც გატაცებულია პიესის მსვლელობით, აღშფოთებული შესძახებს თავხედებს: „ბოლოს და ბოლოს რა ხალხი ხართ, ან სად გრძნობთ თავს, თეატრში თუ „დეზერტირებში!“ ხმაურობა თან და თან ძლიერდება, რომელიც ხელს უშლის მსახიობის სულიერს აღმაფრენას. გაბრაზებული „საბა“—ფრანგიშვილი მუშტს არტყამს მაგიდას, მაგრამ შეუგნებელ ხალხზე არ იმოქმედა.

ელეონორა—მიშა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲥᲕᲔᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ —

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ (1923 ᲬᲚᲘᲡ 23 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ). № 11.

შენობების შესანახ ხარჯებსა და შემოსავალს შორის თანაბრობის მიღწევის მიზნით, და აგრეთვე საბინაო ქირის შესახებ თბილისის საბჭოს ახლა მომქმედ დადგენილებების ერთიან სისტემაში მოსაყვანად თბილისის საბჭომ დაადგინა:

1) თბილისის საბჭოს ახლა მომქმედი დადგენილება № 8 1922 წლის 29 ივლისის თარიღით საბინაო ქირის გადახდევინების შესახებ ყველა იმ დამატებითი დადგენილებებით, რომლებიც ამ დადგენილებამდი გამოქვეყნდა, გაუქმებული იქნეს.

2) 1923 წლის პირველი მაისიდან თბილისისა და მისი რაიონების ტერიტორიაზე შემოღებული იქნეს ქვემოთ მოყვანილი „დებულება საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ქირის შესახებ“.

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲑᲘᲜᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲘᲯᲐᲠᲝ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

§ 1. საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ფასების გამოსარკვევად ქ. თბილისი და მისი რაიონები იყოფა ორ ნაწილად: ცენტრი და განაპირა რაიონები.

შენიშვნა: ქალაქის ნაწილების საზღვრები აღნიშნულია ამ დადგენილებასთან დართულ დამატებაში.

§ 2. საიჯარო ქირის გადახდის მხრივ გადამხდელები იყოფიან 22 კატეგორიად:

1-ლი კატეგორია.

ა) ყველა დაწესებულებების და წარმოების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ ჯამაგირათ საქონლის 5 მანეთს.

ა) უმუშევრები, რომლებმაც წარმოადგინეს შრომის ბირჟიდან სათანადო მოწმობა, რომელიც ყოველ თვეში განახლებული უნდა იქნეს.

ბ) მოწაფეები, სასწავლო დაწესებულებებიდან სათანადო მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, თუ ისინი არ ცხოვრობენ მშობლებთან და არა აქვთ დამოუკიდებელი შრომის ხელფასი.

გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი ომისა და შრომის ინვალიდები.

დ) წითელ არმიელთა ოჯახების უმუშევარი წევრები.

2-ე კატეგორია.

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 5 მანეთს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის ათი მანეთისა.

3-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის ათ მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 15 მანეთისა.

4-ე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 15 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 20 საქონლის მანეთისა.

5-თე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 20 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 25 მანეთისა.

6-სე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 25 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 30 მანეთისა.

7-დე კატეგორია.

ა) მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 30 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 35 მანეთისა.

ბ) შინა მრეწველები, გაეროიანებულნი კავშირში „დამოუკიდებელი შრომა“.

8-ვე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 35 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 40 მანეთისა.

9-რე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 40 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 45 მანეთისა.

10-თე კატეგორია.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 45 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 50 მანეთისა.

11-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 50 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 55 მანეთისა.

12-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 55 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 60 მანეთისა.

13-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში. 60 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 65 მანეთისა.

14-ტე კატეგორია.

ა) ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 65 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 70 მანეთისა.

ბ) თავისუფალი პროფესიის პირები (თავისუფალ პრაქტიკიანები ექიმები, ინჟენერები, ლიტერატორები).

15-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 70 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 75 მანეთისა.

16-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 75 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 80 საქონლის მანეთისა.

17-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 80 მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 85 მანეთისა.

18-ტე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 85 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 90 საქონლის მანეთისა.

19-ტე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც იღებენ თვეში 90 მეტს, მაგრამ არა უმეტეს 95 საქონლის მანეთისა.

20-ე კატეგორია.

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 95-ზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 100 მანეთისა.

21-თე კატეგორია.

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 100 საქონლის მანეთზე მეტს.

22-რე კატეგორია.

დანარჩენი მოქალაქენი.

§ 3. არა შრომის შემოსავალის არსებობის დროს (ვაჭრობა, კომისიონერობა და სხვა) პირველი 21 კატეგორიის პირებისათვის და აგრეთვე აღნიშნულ პირების ოჯახების წევრებისათვის, მთელი ოჯახი უნდა ჩაირიცხოს მეოცდაორე კატეგორიაში.

§ 4. საიჯარო ქირის რაოდენობა წესდება სასარგებლო საცხოვრებელი მოედანის კვადრატიულ არშინზე შენობების ადგილმდებარეობის და კატეგორიების მიხედვით შემდეგის განაკვეთით:

	ქალაქის ცენტრ. ნაწილ.	განაპირა რაიონებისათვის
1-ლი კატ. პირებ.	0,3	0,2
2-რე „ „	0,4	0,20
3-მე „ „	0,5	0,25
4-ხე „ „	0,75	0,4
5-თე „ „	1,3	0,7
6-სე „ „	1,55	0,8
7-დე „ „	1,8	0,9
8-ვე „ „	2 კ.	1 კ.
9-რე „ „	2,75 კ.	1,35 კ.
10-თე „ „	3 კ.	1,5 კ.
11-ტე „ „	3,4	1,7
12-ტე „ „	3,8	1.9
13-ტე „ „	5,3	2,65
14-ტე „ „	6 კ.	3 კ.
15-ტე „ „	7 კ.	3,5 კ.
16-ტე „ „	8 კ.	4 კ.
17-ტე „ „	9 კ.	4,5 კ.
18-ტე „ „	10 კ.	5 კ.
19-ტე „ „	11 კ.	55 კ.
20-ცე „ „	12 კ.	6 კ.
21-თე „ „	15 კ.	8 კ.
22-რე „ „	„ კ.	„ კ.
დანარჩენ მოქალაქეებისათვის შეთანხმების მიხედვით, მაგრამ არა უმეტ.	100 კ.	50 კ.

შენიშვნა: 1. საჯარო ქირა მუშა-მოსამსახურეებისათვის წესდება ძირითად, მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა: 2: სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულების და წარმოებისათვის ქირა წესდება არა უმეტეს 10 კაპეიკისა სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის კვადრატიულ არშინზე; სამეურნეო ორგანოებისა, კერძო დაწესებულების, წარმოებების და ორგანიზაციებისათვის, შეთანხმების მიხედვით.

§ 5. ძირითად საბინაო ქირას ემატება, თუ არის:

ა) მომქმედი ვანა	—	1 პროც.
ბ) სადარბაზო შესავალი	—	1 „
გ) შუშაბანდებიანი გალერეა	—	1 „
დ) სამზარეულო	—	1 „

შენიშვნა: გასავლელ ოთახებზე, რომლებიც მხოლოდ აერთებენ ერთ ნაწილს მეორესთან, საიჯარო ქირა წესდება როგორც შუშაბანდიან გალერეებზე.

§ 6. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის ნორმათ დაწესებულია 25 კვ. არშინი სულზე.

შენიშვნა: ნორმას ზევით ერთი კაბინეტის (30 კვ. არშ.) დაქერის უფლებით სარგებლობენ პასუხისმგებელი მუშაკები, პროფესორები, პრაქტიკის მქონე ექიმები, და აგრეთვე საბჭოთა სამსახურში მყოფი ინჟინერები.

§ 7. დაწესებულებებისათვის საცხოვრებელი სივრცის ნორმა არის 9 კვ. არშინი ამ დაწესებულების თითეულ მუშაკზე (დაწესებულების მტკიცე შტატის მიხედვით), ამ ნორმის ზევით დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და ძირითად განყოფილების გამგეების კაბინეტისათვის დაშვებულია დაქერა საცხოვრობელი სივრცისა არა უმეტეს 30 კვ. არშინისა თითეულ კაბინეტზე.

§ 8. სარდაფებზე, ნახევრათ სარდაფებზე, ბნელ შენობებზე და აგრეთვე ერთსართულიან სახლებზე, სადაც არ არის წყალსადენი, საიჯარო ქირა მცირდება 50 პროცენტით.

§ 9. პირველი 21 კატეგორიის პირებს საიჯარო გადასახადი შეაქვთ თითოეული თვის დამლევს იმ კურსით, რომლის მიხედვითაც ისინი ჯამაგირს იღებენ.

§ 10. მეოცდაორე კატეგორიის პირებს საიჯარო ქირა შეაქვთ წინდაწინ არა უგვიანეს თითეული თვის 10 რიცხვისა, ამიერ-კავკასიის ბონებით გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსის მიხედვით.

§ 11. პირველი 21 კატეგორიის პირებმა ქირის შეტანის დროს უნდა წარმოადგინონ სამსახურის ადგილიდან მოწმობა ჯამაგირის რაოდენობის შესახებ, რომელიც თითეულ სამთვეში განახლებული უნდა იქნას. წარმოების და დაწესებულებების ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ჯამაგირის რაოდენობის შესახებ მიცემულ მოწმობების სისწორეში.

§ 12. 22-რე კატეგორიის პირებს, სამეურნეო ორგანოებს, და აგრეთვე კერძო პირებსა და ორგანიზაციებს საიჯარო ქირის დანიშნულ ვადაზე § 10) არ შეტანის შემთხვევაში გადახდება ჯარიმა გადაუხდელი ჯამიდან 2 პროც. ანგარიშით დღეში.

§ 13. საიჯარო ქირის შემდეგი თვის პირველი რიცხვისათვის არ გადახდის შემთხვევაში, არა კეთილსინდისიერი გადამხდელები, გაძევებული იქნებიან სასამართლოს წესით.

შენიშვნა: გაძევებიდან განთავისუფლებული არიან პირველი 21 კატეგორიის გადამხდელები, თუ საიჯარო ქირის დროზე არ გადახდა მოხდა დაწესებულების ან წარმოების მიზეზით. ჯამაგირის თავის დროზე არ მიცემის გამო იმ თვეში, რომლის საიჯარო ქირა შესატანი იყო, ჯამაგირის მიღებისთანავე პირველი 21 კატეგორიის გადამხდელები მოვალე არიან დაუყონებლივ შეიტანონ საბინაო ქირა.

§ 14. სასარგებლო საცხოვრებელი სივრცის მონარჩომზე (დაწესებულ ნორმას ზევით) წესდება განსაკუთრებული გადასახადი: პირველი 21-თი კატეგორიის პირებისათვის, რომლებიც სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებიან, ნორმალური ქირის 100 პრ. მონარჩომ სივრცეზე, 22 რეკატეგორიის პირებისათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ და აგრეთვე კერძო საზოგადოებრივი წარმოებებისა და დაწესებულებებისათვის 200 პრ., რომლებსაც კრეფენ სახლის პატრონები, სახლების კომენდანტები ან დაწესებულებების და წარმოების მეთაურები და აგრეთვე სახლის პატრონის მაგიერი პირები და შეაქვთ ყოველთვიურად აღმასკომის სალაროში სპეციალურ ფონდში კომუნალური სახლების აღსადგენათ §§ 9 და 10 აღნიშნულ ვადებში.

შენიშვნა: იმ საცხოვრებელი სივრცის მონარჩომი, რომელიც მხოლოდ საცხოვრებლად არის დაქერილი [illegible] პროცენტი ანგარიშით - განთავისუფლებულ გადასახადისაგან [illegible] ვრებელი სივრცე აღემატება დაწესებულ [illegible] რმას წმინდა ტეხნიკურ მიზეზების გამო, ნობის ტიპის მიხედვით.

§ 15. ყველა კონფლიქტები საიჯარო ქირის გამო უნდა გაირჩეს სახალხო სასამართლოებში.

§ 16. ამ „დებულებას“ სავალდებულო ძალა აქვს ყველა შენობებისათვის.

§ 17. ეს „დებულება“ არ ვრცელდება სატუმროებში მცხოვრებ პირებზე.

საბჭოს თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ 1923 Წ. 23 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ № 11.

ქალ. თბილისში საცხოვრებელ ბინის სივრცის აღრიცხვის დროს, ქალ. თბილისის აღმასკომის წ. 23 აპრილის დადგენილების თანახმად № ქალაქის განაპირა უბნებად ითვლებიან:

1- რაიონი, საბურთალო, ახალშენი,—საქართველოს სამხედრო გზით ყ. ბოზარჯიანცის თაბაქოს ქარხნის ხიდს იქითა მთელი რაიონი.

ვაკე სავსებით ვარაზის ხევის ხრამს იქით.

სვიმონოვის მთელი ახალშენი.

მთის კალთა პეტროვის ქუჩის ზევით.

3. რაიონი. სოლოლაკის ხეობა—რაიონი ვით ტრამვაის გასაჩერებელი ადგილისა კოჯორის გზასა და რკინის წყალსადენ მილის დასაწყისთან.

4. რაიონი. საქარხნო რაიონი, მნაცაკანოვის ხიდს იქით, ორთაჭალა, კრწანისი, მთელი ხარიხი მთის დალმართი სუფსარქისის ქუჩამდე.

6. რაიონი. მთელი მე-6 სამილიციო რაიონი ვორონცოვის ფერმისა, ნავთლუღისა მამუკინის ს[illegible] ფლის და სასაკლაოს რაიონის ჩათვლით.

7. რაიონი. რკინის გზის გამოღმა მთელი რაიონი, ახალშენები ყ. ბებუთოვისა, მირზოევისა [illegible] სხვათა მამულზე.

8. რაიონი. არხენალის ახლო-მახლო რაიონი რკინის გზის გადაღმა.

9. რაიონი. რკინის გზის იქითა მთელი რაიონი ყ. მსროლელთა რაზმ. დაწყებული არსენალამდე ჩარიცხვით ნორიოსა, სამოვოლნაიასა და სხვა ქუჩ. და აგრეთვე ქუჩები ყოფ. დოლუხანოვისა, [illegible] დიროვისა და სომეხთა სემინარიის მიწებზე გაშენებულ ახალშენებიან.

11. რაიონი. მთელი მე-11 სამილიციო უბანი ნაძალადევი, ძველი ნახალოვკა ლოტკის გორა [illegible] სხვა.

ქალაქის დანარჩენ ნაწილში საცხოვრებელ ბინის სივრცე უნდა შეფასდეს იმ ტარიფებით, რომელიც დადგენილია ქალაქის ცენტრალურ ნაწილისათვის თანახმად თბილისის აღმასკომის ა. 23 აპრილის დადგენილებისა № 11.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

მას აქვთ, რაც სოც.-ფედერალისტთა პარტიაში გაჩნდა ორნაირი მიმართულება, მე მხარს უჭერ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიას, სრულიად ვეზიარებ მის ტაქტიკას და მსურს ჩავირიცხო ამ პარტიის წევრად.

კონსტანტინე კეიდია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ

მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს,

რომ კოჯორში მომავალი ზაფხულისათვის მსურველებს შეუძლიათ დაიქირაონ ოთახები, ოთახები დაყოფილი არის 3 კატეგორიად: 1 კატეგორიის ოთახების ერთი კვ. არშ. მთელ სეზონში ღირს 80 კ. ოქროთი, ოთახები მე-2 კატ.—60 კ. და ოთახები მე-3 კატ.—40 კ. ვისაც სურს აგარაკი დაიქირაოს არა უგვიანეს 1 თიბათვისა განათლების განყოფილებაში უნდა შემოიტანოს შესაფერი განცხადება და აგრეთვე მთელი ქირა აგარაკისა, ხოლოდ პროფესიონალურ კავშირის წევრებს შეუძლიათ შემოიტანონ აგარაკის ქირა 2 ვადაზე: პირველი ნახევარი ქირისა უნდა შემოიტანონ განცხადებასთან ერთად, ხოლო მეორე ნახევარი—არა უგვიანეს 1 მკათათვისა.

პროფესიონალურ კავშირთა წევრებს ოთახებთან ერთად დაეთმობათ ზოგიერთი ავეჯიც. რადგანაც კოჯორის აგარაკებს სახელები აქვთ შეცვლილი და ახლად არიან დანომრილი, ამისათვის საჭირო არის, რომ მსურველებმა აგარაკები დაათვალიერონ ადგილობრივ და მიიღონ ყოველგვარი ცნობები კოჯორის სამეულის წევრებიდან—ჩხეტიასაგან ან ღვდელაძისაგან, შემდეგ უნდა გამოცხადდენ განყოფილებაში, წარმოადგინონ აგარაკის საფასური და მიიღონ ორდერი.

356 2—1

პრეზიდიუმი.

ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოდ, რომ ხუთშაბათს, 10 მაისს, დღის 12 საათზე

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ქალაქ. შეშის საწყობის № 1, რომელიც მდებარეობს რკინის გზის ლიანდაგთან იჯარით გასაცემ[illegible] ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საფინანსო განყოფილებაში ოთახი № 15.

335 2—2 საფინანსო განყოფილების გამგე **ვლ. ფიალკოვსკი.**

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 263 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2